საინფორმაციო ბიულეტენი | აპრილი

პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ მოლდოვის დელეგაციას უმასპინძლა.

მიმდინარე წლის 5 აპრილს, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ მოლდოვის დელეგაციას უმასპინძლა. მხარეებმა ისაუბრეს სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებისა და მისი აღსრულების შესახებ. ამასთან, დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავებაც.
საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო წილოსანმა აღნიშნა: "მიუხედავად იმისა, რომ მოლდოვამ 2022 წელს მოახდინა კონვენციის რატიფიცირება ძალიან საინტერესო გამოცდილება აქვთ. რა თქმა უნდა, ჩვენც გავუზიარეთ ყველა ის საკვანძო მომენტი, რაც გავიარეთ ამ მიმართულებით. გამოითქვა დიდი სურვილი, რომ სამომავლო თანამშრომლობა გავაგრძელოთ, რადგან ჩვენც და მოლდოვაც ახლა უმნიშვნელოვანეს გზაზე ვდგავართ ევროინტეგრაციის პროცესში.“

საბჭომ სკოლების მოსწავლეების ცნობიერების ამაღლების კამპანია დაიწყო

მიმდინარე წლის 18 აპრილს, საბჭომ თბილისის 105-ე სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა და გენდერული თანასწორობის მნიშვნელობაზე საინტერესო დისკუსია გამართა.

- 20 აპრილს, საბჭოს წევრები საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლის მოსწავლეებს შეხვდნენ.
- 24 აპრილს დაიგეგმა თბილისის 47-ე სკოლის მოსწავლეების ვიზიტი.
- 12 აპრილს საბჭომ უმასპინძლა თბილისის 126-ე საჯარო სკოლას.

სკოლების პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან შეხვედრა კვლავ ინტერაქციულ ფორმატში გაგრძელდება.

საბჭომ მუნიციპალიტეტებს მე-9 რეკომენდაციის შესრულების სტატუსი გააცნო

მიმდინარე წლის 6 აპრილს, საბჭო მნიშვნელოვან საკოორდინაციო შეხვედრას უმასპინძლა, რომელზეც 64 მუნიციპალიტეტიდან 200-ზე მეტი ადამიანი შემოგვიერთდა. ესაა საბჭოს მიერ შექმნილი ურთიერთთანამშრომლობის პლატფორმა, სადაც განვიხილეთ მიმდინარე საქმეები, გავუზიარეთ ერთმანეთს ჩვენი წარმატებული გამოცდილებები და ვისაუბრეთ იმ წინაღობებზეც, რომელთა დაძლევის მიზნით რამდენიმე აქტივობა დაიგეგმა.
შეხვედრაზე საბჭოს თავმჯდომარემ მონაწილეებს გააცნო ევროკავშირის მე-9 რეკომენდაციის შესრულების სტატუსიც. ამასთან, ნინო წილოსანმა მუნიციპალიტეტებში არსებული გამოწვევების აღმოსაფხვრელად მათ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა.

საბჭომ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფციის აღსრულების საკითხზე პირველი სამუშაო შეხვედრა გამართა

მიმდინარე წლის 21 აპრილს, საბჭომ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფციის აღსრულების საკითხზე პირველი სამუშაო შეხვედრა გამართა.
შესაბამისი სამინისტროების წარმომადგენლებთან ერთად შეხვედრაზე განიხილეს კონცეფციით განსაზღვრული ინტერვენციები და იმსჯელეს მათი ეფექტურად განხორციელების გზებზე.

საინფორმაციო ბიულეტენი | აპრილი

აპრილის თვეში საბჭომ გაავრცელა ორი განცხადება:

- 24 აპრილის განცხადებით, საბჭოს თავმჯდომარე გამოეხმაურა ერთ-ერთი ტელევიზიით გასულ სიუჟეტს, რომელშიც საუბარია ქალის გენიტალიების დასახიჩრების მავნე პრაქტიკებზე.განცხადებაში აღინიშნა, რომ ქალის გენიტალიების დასახიჩრება უფლებადარღვევის უკიდურესი ფორმაა, რომელიც არღვევს ქალის ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, ფიზიკური ხელშეუხებლობისა და წამების აკრძალვის უფლებებს, შესაბამისად კატეგორიულად მიუღებელია მასობრივი მედიის საშუალებებით კანონმდებლობით აკრძალული ძალადობრივი ქმედების ისე ნორმალიზება, როგორც ჩვეულება და ტრადიცია.
განცხადებაში ხასგასმულიი იყო 2017 წლის სტამბოლის კონვენციის აღნიშნული ქმედების კრიმინალიზების მნიშვნელობა და სიუჟეტში აღნიშნულ ფაქტებზე სამართალდამცავი ორგანოების მიერ მყისიერი რეაგირებისადმი მოწოდება.

- 28 აპრილის განცხადებით, საბჭო მიესალმება ცოლის მიმართ ძალადობაში ბრალდებულის სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ გატარებულ კანონიერეტრღონისძიებებს, რომელიც გულისხმობს სისხლის სამართლის კოდექსის 126 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობას, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია) გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას. ბრალდებული პოლიციამ 25 აპრილს დააკავა და მას პროკურატურამ ბრალი უკვე წაუყენა.
საბჭომ მოუწოდა მსხვერპლებს არ შეშინდნენ, არ დამალონ ძალადობა, რადგან სახელმწიფო მათი დაცვის გარანტია!

საბჭოს წევრები ევროსაბჭოს ექსპერტებს შეხვდნენ

მიმდინარე წლის 26 აპრილს, საბჭოს წევრები მარიამ ლაშხი და ბაია კვიციანი ევროსაბჭოს ექსპერტებს შეხვდნენ. სტუმრებმა საქართველოსთვის ევროპის საბჭოს 2020-2023 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მიმდინარეობა შეაფასეს.
შეხვედრისას მთავარი აქცენტი გაკეთდა საბჭოს სამოქმედო გეგმაზე და იმ აქტივობებზე, რომლითაც ევროსაბჭო როგორც საბიუჯეტო ასევე, ტექნიკური დახმარებით აქტიურად გამოირჩევა.
ევროსაბჭოს ექსპერტებთან გამართულ შეხვედრაში ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის და იურიდიულ საკითხთა კომიტეტების აპარატების, ასევე, გენდერული საბჭოს აპარატის თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ.

საბჭომ რუსთავში გოგოების ტექნოლოგიებსა და ინოვაციებში ჩართულობის დღე აღნიშნა.

მიმდინარე წლის **27** აპრილს**,** საბჭომ რუსთავში **გოგოების ტექნოლოგიებსა და ინოვაციებში ჩართულობის** დღე აღნიშნა**.** ვიზიტის ფარგლებში საბჭო იმ ქალებსა და გოგოებს შეხვდა**,** რომლებიც ჩართული არიან ან უნდათ ჩაერთონ ტექნოლოგიების სფეროში**.**
შეხვედრისას მოხდა მსჯელობა საბჭოს გენდერულ პოლიტიკაზე**,** ხაზი გაესვა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში აღებულ საქართველოს ვალდებულებებს და აღნიშნული საკითხის პრიორიტეტულობას**.**